ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5485223

ნომერი: AR1828949

თარიღი : 30.06.2021

გაცემის თარიღი : 03.07.2021

გაცნობის თარიღი : 03.07.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ონიაშვილი , N 25 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ონიაშვილი , N 27;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სალომე სვიანაძე პ/ნ 01019075333
- თბილისი სანზონა კორ. 18ვ ბ. 21

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
ამხანაგობის თავმჯდომარე მოგვმართავს, წარმოდგენილ იქნეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი სათანადო წესით დამოწმებული მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, კრებაზე დამსწრე წევრთა რიცხვითი და პროცენტული რაოდენობის მითითებით, წარმოდგენილ იქნეს კრების ოქმი, რომელსაც დაესწრო ამხანაგობის 2/3 (67%) და კრებაზე განსახილველ საკითხს მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა.
იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა წარმოადგინოთ არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათის საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი, დეტალურად გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით.
გარდა ამისა მოთხოვნის ტექსტში დეტალურად განმარტეთ ინფორმაცია განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.
გაითვალისწინეთ, რომ იმ შემთხვევაში თუ სამუშაოები უკვე მოწყობილია უნებართვოდ საჭიროა წარმოადგინოთ განახლებული ფოტოსურათები, თარიღის ფიქსაციით სადაც აღარ იქნება ასახული უნებართვო სამუშაოები, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი საკითხის განხილვა.
საკადასტრო გეგმაზე მონიშნეთ საპროექტო ტერიტორია და იმ შემთხვევაში თუ ხდება შლაგბაუმის მოწყობა წარმოადგინეთ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული პოზიცია (არა თანხმობა ან/და ნებართვა) ტერიტორიაზე შლაგბაუმის მოწყობასთან დაკავშირებით.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.